


K 16821
ta

ამ ბრძანებულის ბეჭოსაგადი სრულად გადა-
დებულია რაბათის დედათა სასწავლებლის
სასარგებლოდ.



(ამბავი კავკაზიის ცხოვრებიდან)

ს. შეიანცისა

—♦—♦—

რუსულიდგან ნათარგმნი
მესხი კ. გვარამაძისა

და

გამოცემული
ზაქარია კ. ღილიძიმაშვილის, მიერ

ქ. ახალციხე

სტამბა ქმ. გარტინიოსიანცებისა

1911

ამ ბოლოშერის შემთხვევადი ხარჯს გარედ, გადადებულია რასათის დედათა სასტაციულებლის სასარგებლოდ.

ნაკრძალი

1621 (ანბავი კავკაზიის ცხოვრებილან)

ს. შხიანცისა



რუსულიდგან ნათარგმნი

მესხი კ. გვარამაძისა

დი

გამოცემული

ზაქარია კ. ლილიმაშვილის მიერ



ქ. ახალციხე

სტამბა ქმ. მარტინოსიანცებისა

1911



ნ ა ბ ა დ უ ლ ი

(პატარა ამბავი).

ქრის ზაფხულის არღადეგებში, პატარა ქალაქ ჭ-ში გავემგზავრე ჩემ ამხანაგთან სტუმრადა.

სასეირნოთ ყოველ დღე გავდიოდი ქალაქს გარედ, სადაც დიდი ხნითა ვრჩებოდი ხოლმე. ვათვალიერებდი მახლობელ ტყეებს, ჭალებს, მინდვრებს... ყველგან დავიარებოდი.

ერთხელ წავაწყდით ნაკადულს, რომლის ოვალუწვდენი გძელი მიდამო მოროხილი იყო პატარა კენჭებითა; ახლოს მივედით. ჩემი ამხანაგი ჩაჯდა თავშალუნული; ეტყობოდა რომ რაღაც ფიქრებმა მოიცვა იგი.

ჩემ შეკითხვაზედ, კენჭების გაშვავების
ხმა გაისმა. ალბათ წყალმა დასძრა, ჩემი
ამხანაგი თითქოს ძილიდგან გამოირკვაო,
თავი ზევით ასწირა და უცბათ წამოიძახი:
— ეს კენჭებია, კენჭები!.. და ღრმათ
ამოიოხრა...

— კენჭებია!.. გაიმეორა და განაგძო
ლაპარაკი:— ეს ნაკადული—ხომ ხედავ
რა პატარაა!.. ერთ წისქვილსაც ძლივს
დააბრუნებს; მაგრამ ზოგჯერ ისე აღიდ-
დება და მედიდურად წამოიშეუებს, რომ
კლდე ღრეს სულ დააჭცევს. ეხლა ქათა-
მიც ფონს გავა ისე პატარაა... საკმარი-
სია, აი, ამ მოებში გაწვიმდეს; სწრაფად
ადიდება, გაგანიერდება და ლიახვსავით
თვალაბმული, აქაფებულ-აზვირთებული
შესუილ ქუხილით თაქსზარსა სცემს ხოლ-
მე არე-მარესა!.. რამდენს მსხვერპლს არ
იწირავს ეს პაწაწა მიუნდობელი, შეუბ-
რალებელი, ძრიელი და ცრუ ნაკადუ-

ლი!.. რავდენს უქცევს სახლს, ბალს...
და თავის როხის ქვეშ ათავსებს ეს უწყა-
ლო და მიუნდობელი!..

ჩემი ამხანგი ისევ ფიქრებს მიეცა...

მთის გვერდობზე გაშენებული ქალაქი,
შორიდან თან და თან მშვენიერდებოდა,
კეკლუცდებოდა და მის გარშემო ხავერდ-
სავით გადაფურჩქნულს მოლს ახშობდა.
სურათი საუცხოვო იყო. ის მშვიდობიანს
და წყნარ ძილს საუკუნოთ მალე მიეცა.
არც არავის თავში მოუვიდოდა, რომ ის
სიტკბოება რითიმე დარღვეულიყო. ყველ-
გან სიწყნარე და სამარისებური მყუდ-
როება სუფევდა!.. მხოლოდ ერთი ნაკა-
დული თავისი მხიარული ჩხრიალით სი-
ჩუმეს არღვევდა...

— ნეტა, რაზედ ფიქრობდა ჩემი თანამ-
გზავრი?.. რამ შეუცვალა მას მხიარულ-
ლი სახე?.. რა ჰქენჯნიდა იმის გულს
და რა აწუხებდა მას? — აი, ეს კითხვები

აღმეძრა თავში და ვერ ამეხსნა კი!..
ბოლოს, დავსცხრი ისეთი დამლალავი
სიჩუმისაგან, გაუბედე და შევეკითხე:

— ნეტა, რა ფიქრებმა გაგიტაცეს ჩემო
მეგობარო, ან რა გაწუხებს?

მან მომიგო:

— მე მომაგონდა ჩემი სიყმაწვილე?!
მომაგონდა — ჩემი უმცროსი ძმა, რომე-
ლიც აი, ამ ნაკადულში დაიხჩო!.. ყო-
ველთვის, როდესაც კი ამ ნაკადულს
დავინახავ, ამის არე-მარეს მოვხდები,
სულის ტრაგიკული წამები დამიღება
თვალწინ... სულ დიდხანსა ვმზერ იმის
მქრთალს პირი-სახეს, მის შეხედულე-
ბას!..

— როგორ, და რა სახით მოხდა ყვე-
ლა ეგ, მოუთმენელად შევეკითხე მე?

ამაზედ, ჩემო კარგო!.. დაწვრი-
ლებით რომ გიპასუხო — ჩემი სიყმაწვი-
ლის ამბავი დაწვრილებით უნდა მოგიყ-

ვე... — ჩაქინდრული თავი წმოილო მაღლა, მიეყრდნო დიდ ქვას და დაიწყო:

II

ქამა რომ მომიკვდა, მე მაშინ 11 წლისა ვიყავი; ოთხი წვრილი ობოლი დაგვტოვა მან; ერთი ძუძუთა იყო. მე ყველაზე უფროსი ვიყავი. ჩვენ ცხოვრების სახსარი არ გვჭონდა, ღარიბები ვიყავით. საბრალო დედა თავისი ხელიმაგით გვარჩენდა იმდენ სულს. მთელ ღამეებს სანთელთან იჯდა თავდახრილი და ჰკერავდა. ჩვენ დაგვაწვენდა დასაძინებლად დაის შეუდგებოდა საქმეს. მე ხშირად თვალს ვადევნებდი ლოგინიდან დედაჩემს. მისი სურათის დანახვა უფრო ნაღველს წამოადგენდა, მის გულს ნაღველი სარჩულად ჰქონდა დადებული!.. დიდის მომმინებით და სულგრძელობით უჯდა თავის საკერავს. ნემსი, როგორც სათამაშო რამ ისე

ჰქონდა ხელში გავარჯიშებული. ოვა-
ლებში ჩინ-გამოლეული ხანდიხან შეს-
წყვეტდა საკერავს და გაშტერებული
მიეცემოდა რაღაც ფიქჩებს... იმავე
დროს, თითქოს ნაკადულის მრისხანე
ჩხრიალსაც ყურს უგდებდო, რომელიც
ხან ყრუთ მოგვესმოდა და ხან კი მომაკვ-
დავსავით შორს გაიპარებოდა.. უცბალ
გონს მოსული, ისევ თავის საკერავს
შეუდგებოდა. მან შესვენება არ იცოდა
და სულ ასეთი აუტანელი შრომითა
გვკვებავდა ხოლმე. უკანასკნელი პუ-
რის ნატეხსაც ჩვენ სწავლას გვახმა-
რებდა. სწორედ დიდს და აუტანელს
ხელმოკლეობას ითმენდა საბრალო დედა!
ითმენდა მხოლოდ თავის სახელის დასა-
ცავათ და ოჯახის პატივსაცემლად!..
გვინახავს იმისთანა დღეები, კვირებიც
კი, რომ საკერავი სრულიად აღარა ჰქო-
ნია მას!.. იმისთანა წამებიც გვიგემია და

გვიგვრძნია, რომ სრულიად იმედ გადაწყვეტილი დარჩენილა. — იგი მაინც ხელს არასღროს არ გაიშვერდა სამათხოვროდ... ვალებს არ აიღებდა. არც არა სახლის ავეჯებს ახლებდა ხელს გარედ გასძყიდათ.. მაგრამ მოვახშეობა შეუბრალებელი რამაა, რომელმაც არ იცის არავითარი გრკირება და აუტანელი მდგომარეობა.

მამაჩემს ცოტაოდე ვალი დარჩა, თოთქ ქმის გადახდილიად ითვლებოდა, პატარა ნაწილი სარგებელისა კი დარჩენილიყო, რომელიც ას უც მანეთამდი ავიდა, ეს ჯამი ჩვენისთანა ლარიბებისათვინ კი დიდი საგრძნობელი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ, მოვახშე დიდი რიხით განგვირხადებდა ხოლმე თავის მოთხოვნილებას და სახლის ავეჯების აწერას გვემუქრებოდა ცულიდან დაწყებული.

უბედური დედაჩემი თავის ღონე საშვალს იმას ახმარდა, რომ როგორმე ეს

ვალი მოეხადა: თავს ივიწროებდა, ჩვენც
საცხოვრებელს გვაკლებდა... ყოველ
თვიურ შემოსავალიდან — უდიდეს ნაწილს
ვალის გადასახლელად სდებდა და ასე
თვიური ხარკისათვის აძლევდა მოვახშეს
თავის ნაოფლარსა. მაგრამ წარმოიდ-
გინეთ, იმ ფესვად ამოსაგდებს ვალს,
არმაც თუ არ აკლდებოდა, არამედ უფრო
ემატებოდა და იზრდებოდა. ერთხელ
„სუდებნი პრისტავი“ მოგვაყენა კარს
ჩვენმა მოვახშემ სახლის ასაწერად (მას
სამართლის კაცებიც თან მოჰყვნენ); შე-
მოვიდნენ ოთახში. ჩინოვნიკი თავმომ-
წონეთ მიუჯდა მაგიდას და „ოპისის“
შედგენა დაიწყო. გვიწერდა: ხალიჩის,
ჭურჭელს და სხ.

დიდი უსინდისო ვინმე იყო ჩვენი მო-
ვახშე. რაც კი შეხვდებოდა ოთახში, თა-
ვის ხელით მიჰქონდა და პრისტავის წინ
აწყობდა; ისიც ყოველი ახალი ავეჯის

დანახვაზედ, ასწევდა თავს მაღლა, წარბებს შეიხრიდა და შეუდგებოდა საქმეს. ძველი და უვარგისი რამ თუ შეხვდებოდა, თავს წამოიღებდა და შეეკითხებოდა; მითომ ღირს ამაების აწერაო?..-

— ასწერეთ, — მე გთხოვთ, — მიუგებდა მევახშე. სურათი, საზარელი იყო და საზიზღარი...

უბედური დედაქემი იდგა გაშეშებული, მწუხარებისაგან მკვდარი. მთელი სხეულით კანკალებდა; ძლიერ მაგრდებოდა ფეხზედ, სასიკვდილოთ მიმქრალი. ამ დროს ჩვენ ოთხნივ გარშემო ვუდექით დედას, რომელიც თვალთაგან გამოურკვეველს ცრემლებს აფრქვევდა ჩვენთვის, იმ დროს, ისტიქტურად ყველასა ვგრძნობდით ჩვენ რომ გარეშენი გვცარცვავდნენ და ჩვენს ოჯახს შეურაცხებას იყენებდენ. უცბათ წაგვაყენა დედამ წინ და სასოწარკვეთილებით მიაძახა:

— ბარემ ეს უბედური ობლებიც წინ-
ყვენეთ სიდმე!.. ჩქარა ჩასწერეთ, არ და-
გაცლისთ, თქვენ, ღმერთი! ამ უკანას-
კნელ სიტყვებზე ჩაეკეცა მუხლები და
სკამზე უგრძენობლად დაეცა.

III

ქშვიდობით, ოჯახის კეთილდღეობავ, მშვიდობით ოჯახის მყუდროებავ, გაჰქ-
რა, ყოველივე სამუდამოდ!.. დადგა დრო
გაჭირვებისა, დრო ტანჯვისა... ვაებისა...
თუმცა დედამ წინანდულებ განაგრძო სა-
კერავები, მაგრამ ამითოდ!.. იმისი თავდა-
დებული და დაუღალავი ენერგია სრუ-
ლივად წაერთვა, დაუძლებულდა... ყველა
ფერს ძალდატანებით აკეთებდა. მაღე
შემკვეთლებშაც აჰკვეთეს და იღარ იძ-
ლევდნენ მას საკერავებს, რადგანაც პი-
რიანად ვეღარ სრულებდა საქმეს; კეთილ
სინდისიერ მუშაობაზედ მიჩვეული ვეღარ

ასრულებდა საქმეს; კეთილ სინდისიერ
მუშაობაზე მიჩვეული რა ვეღარ იტანდა
მუშტრის საყვედურებს საქმის რიგიანათ
აუსრულებლობისათვის, მაშინვე გული
მოსდიოდა და მკვახე-მკვახე სიტყვებითაც
მიუვებდა, ისე ნერვები აეშალა საბრა-
ლოს.

საკერავი თან და თან შეუმცირდა დედა
ჩემს; ბოლოს ერთიანათაც მოესპო...
მოესპო ერთათ ერთი წყარო ცხოვრები-
სა; ჩვენი; იძულებული ვიყავით სკოლი
საოვის გაგვენებებია თავი, რადგან დღიუ-
რი სარჩოცა არა გვქონდა; მაშ საიდგონ
შეიძლებოდა ჩვენი სწავლის ხარჯების
გაღება?..

დადგა ცივი ზამთარი. არა გვქონდა
სახლში: არც ფქვილი და არც შეშა.
მთელდღეებს, კვირებსაც კი, თბილს საჭ-
მელებს სრულებით მოკლებული ვიყა-
ვით. ძალა უნებურად უნდა აგვერჩიდა ის

გზა, რაც დედაჩემს საშინლადა სძულ-
ჭა... — აგველო ვალები... ჰმ.. აღვილათ
იტყვის ენა... უნდა მიადგე ვიღასაც კა-
რებს და უცადო, თუ როდის გალირსე-
ბენ კარის გალებას. საშინელი წამებია...
საუკუნეთ გეჩვენება... აგერ იღება კა-
რიც. შენ კი სული გიღელავს... გული
გიძგერს... სახე გიწითლდება... ენა გებ-
მის... როგორც არის ახერხებ და შენს
გაჭირვებას ეუბნევი — ეჩურჩულები დედის
თხოვნას... მაინც გულ გადალეული და
დაწყენილი შეჰყურებ თუ რას გიპასუ-
ხებს... აგერ უცბოთ პასუხი გესმის: —
უთხარით, დედა თქვენს, რომ ჩვენთვინაც
არა გვაქსო!.. ასეთ ცივს უარზედ სირ-
ცხვილით იწვი, სად დაიმალები, რომ
თავ-ჩაკიდული არ დაბრუნდები სახლისა-
კენ სრულიად შერცხვენილი!.. ისე გგო-
ნია, გამლელ-გამომვლელნი ყველანი,
შენს გაწბილებაზე (უარის თქმაზე) მოუბ-

ნობენ და გრცხვენიან! მოდიხარ გულ-
ტეხილი სახლში; იქ ბავშვები გიცქერიან
შენ აღელვებულ სახეზე, შენ მდგომარე-
ობაში შემოდიან, მიუხედავათ იმისა რომ
შიათ და ეს მომენტიც ერთნაირს სასო-
წარკვეთილებაში აგდებს!..

არას ღროს არ დამავიწყდება მე ის
წამები, როდესაც ერთხელ სახლში საჭ-
მელი სრულიათ გამოგველია: არც ფქვი-
ლი, არც ყველი და არც ხმელი პურის
ნატები. ფიკადოე და სხვის კარს მივადეგ
დასარეკათ; ერთთან, მეორესთან... მაგ-
რამ ყველასაგან უარი მივიღე. გამოვ-
ბრუნდი ფერმიხდილი და წამოველ სახ-
ლისკენ. სახლის წინ იდგა დედა გულ-
ხელ დაკრეფილი და მიცდიდა.

— ვერ იშოვე რამეო, მყითხა და და-
აურეიალა ტანში!..

— ვერა... მიკნავებულის ხმით ძლივას
გავაგონე, ჯავრისაგან პირში ნერწყვი

მიშრებოდა.

იმ ლამეს ყველანი მშიერი დავწევით
დასაძინებლად.

მე დიდხანს ვბრუნდებოდი ლოგინში
მშიერი, ვშფობავდი და არ მეძინებოდა.
გულზედ ქვასავით რაღაც დამაწვა და სა-
შინლად მტანჯავდა

არც დედაჩემს ეძინა; ისიც ღრმათ ოხ-
რავდა, სტიროდა ლამის მყუდროებაში...
მე ათასნაირი ფიქრები ამეშალა თავში,
რადგანაც უფროსი ძვალი ვიყავი, სინიდისი
მაიძულებდა და მამხელდა, რომ ოჯახის
პატრონობა მე მეტვირთა დედაჩემის უდ-
როვდ გატეხისა და დაუძლურების შემ-
დეგ. აკი ჩემი უმცროსი და-ძმანიც მე
მთხოვენ შველას მშივრები; მაგრამ რითი
შემეძლო მე მათვინ შველა!. მათხოვრათ
ვერ წავიდოდი და თავს ვერ დავიმოჯა-
მაგირებდი?.. ღმერთო, ნუ მიწყენ და,
მოჯამაგირობას მე ბევრჯერ მირჩევნოდა

ტყეში შეშის ჭრა და პობა... და ესევე
გადავწყვიტე ჩემ ხელობად.

დედა ჩემს კი გასაგონათაც ეზარებო-
და ტყეში შეშის ჭრა და პობა.

— არასდროს, შვილო? — ვინ იცის
რა შეგემთხვევა ტყეში და გზაში — მე

ბევრად მირჩევნია სიშილით ამომხდეს
სული, ვიდრე იმ განსაცდელში გაგზა-

ნაო! დაუინებით იტყოდა ხოლო დედა.

როდესაც უკიდურესს მდგომარეობაში
ჩავარდა დადა და ოჯახი, მაშინ კი ინ-
ბა შეშის ჭრაზე თანახმობა გამოეცხადე-
ბი.

მეორე დილას, გათენებამდის ფეხზე
ვიდეგი და ტყეში, შეშის საჭრელი ვეძ-
ზადებოდი. შევჯეგ ცხენზე. რომელიც
შეზობელს გამოვართვი ქირით, რაშიაც
მოგების ნაწილი შევპირდი, გამოვემშვი-
დობე დედის და გავწიე. დედაჩემი თვა-
ლით მაცილებდა, რომელიც გარეთ გა-



მოსული ფუსტუსით ლოცულობდა და
ჩემ მომავალზე ვინ იცის რას არ ფიქ-
რობდა. აბა და, გამიშეტებდა მე მეოგი
ტყეში სამუშაოდ!..

კალაქს გარედ მალე გავდიო, დავი-
მინდვრე. იქიდგან, ერთ ვიწრო ბილიკს
შევუდეგ და გავწიე ტყისკენ, ნისლი
იდგა. შორეული მაჯგი ძლივს მოჩანდ-
ნენ ნისლის ბურუსში. მე თან უათან გუ-
ლი მეშლებოდა. ჩემ თავს ვაშკაცად
ვრაცხდი და ეს გრძნობა დიდ ნეტარებას
მგვრიდა. ჩემი მისწრაფება და გრძნობა
ერთად ერთ საჭიროებისკენ მქონდა
მიმართული, რომ ტყეში მემუშავნა და
რითი მომელო ბოლო ჩვენი გაჭირვებისა-
თვის და ტანჯვა-ვაებისათვის და ეს ხსნა
დიდად მამხნევებდა, მაძლევდა ენერგიას
და სიმტკიცეს.

ხშირად ოცნებიც მაიძულებდა წარმო-
მედგინა; აგერ ვითომ ჩვენ ოჯახს თვალსა-

ჩინოდ ვშევლი, და-ძმათა სასწავლებელში
ვასწავლიდი და სხ. და სხვა, ღმერთო
ჩემო, კიდევ რა გუგმებს არ ვაღგენდა და
ჰაერში რა სიმაგრეებს არ ვაშეჩებდი?.
რასაკვირველია, ჩემი ხელ იმაგით, ჩემი
ოფლით, რათაც შეშის ჭრა და პობა
შეადგენდა ტყეში და იქიდან ცხენით
გადმოზიდვა ქალაქში გასაყიდადა.

IV

ქე შრომით ცხოვრება ასე დავიწყე.
ჩემ სამუშაოს, ვერც სუსხიანი ცივი
ზამთარი და ვერც ზაფხულის სიცხე-
ები, ვერ უცარავდნენ ხელსა, გარდა
აი ამ მდინარე ნაკადულისა, რომელსაც
ყოველ აქ მოსვლაზე, ჩემთვის მას ენით
გამოუთქმელი საშინელებანი მოუყნე-
ბია. მეტადრე წვიმებში, როდესაც გა-
დაღებამდის გვიცდია ამის ნაპირებზე
დამბალ დასველებულებს; შეგვიყურე-

ბია, როდის დაჯდებოდა და დამშვი-
დდებოდა ზღვასავით ადიდებული და
აშფოთებული ნაკადული, რომლის აღელ-
ვებულს ზეირთებს უნძრევია და უნგრე-
ვია მთელი არე მარე, რითაც ჩვენი გუ-
ლი შიშისაგან უწყალებია. საშინელი
წამები გვინახავს! იმ დროს ტყეში წასვ-
ლაც ხშირად უკუ გვიგდია, რადგანაც
საშიშრად გვიცნია აზლვავებულ წყალში
ფონის გაგნება. ზოგჯერაც მომხდარა,
რომ დიდხანს არ დავარდნილა წყალი,
მაშინ განსაკრელს მორევშიაც არ დავ-
რიდებივართ და გაგვიფონავს შიგ გაჭირ-
ვებით, რადგან სხვა გზით (თუ ასე ამ
გზით) შეუძლებელი ყოფილა ჩვენი გა-
ჭირებული ცხოვრებისათვის სახსარის
აღმოჩენა. დიალ, შეუძლებელი იყო აქე-
დან ჩვენი განშორება, საიდგანაც ცხოვ-
რების წყაროს ვპოებდით დაუძლურებუ-
ლი დედისა და პატაწა და-ძმათათვის.

ხშირად უმცროსი ძმაც გამყვებოდა ტყე-
ში, რომელსაც უხაროდა თავისი შრომი-
თაც ესარგებლებინა რამე ოჯახისათვის.
როდესაც უკანასკნელ ხანს გავუდევით
ტყისაკენ მე და ჩემი უმცროსი ძმა,
საამო გაზაფხული იყო. მაგრამ დიღის
წყნარი ჰაერი მალე შეიცვალა; ლურჯი-
ცა მზაკვრმა შავმა ლრუბელმა სწრაფად
დაფარა. ამოვარდა ძლიერი ქარი. ჩვენ
მალე გამოვათავეთ სამუშაო და გამოვე
შურეთ სახლისაკენ.

გზაში მალე დაგვასხა წვიმამ. მსხვილი
წვიმა თან და თან ძლიერდებოდა და ბო-
ლოს სეტყვათ და ღვართქაფათ გადაიჭია.
აღგა საშინელი ღვარები. მთიდგან ღვარ-
ნაშების საშინელი ხმა მოისმა, ჩვენ უზო-
მოთ დასველებული უხმოთ მოვდიო-
დით...

სრულიად ფერშიხდილი და გაცრეცი-
ლი, საბრალო ჩემი ძმა, ცხენს უკნიდან

მოაჩანჩალებდა — ფიქრად გადაქცეული. მას ბევრი რამ გაეგონა ამ ნაკადულის ძალმომრეობაზედ, თუ რა და რა საზარელი ვნებანი მიუყენებია ხალხისათვის ადიდების დროს, მეტადრე იმის გაშმაგებულს და ძრიელ ზვირთებსა... ბევრი სხვაც უარესებიც გაეგონა, მაგრამ ოავისი თვალით კიარ ენახა...

ახლა კი ოავად თვითონ შეიქმნა პირველი დამსტრე ასეთი შემთხვევისა. ჩვენ ნაკადულთან მივეღით უკვე. ჭიუა გამოლეული ბრაზიანივით ღრიალებდა ბნელსა და ლაფით მოცულს ზვირთებში, რომელსაც კლდე ღრე თან მოჰქონდა და თავის როხის ქვეშ ათავსებდა მთელ არე მარეს.

ცხენს საპალნე ჩამოვხადეთ და გადაღებას შეუცადეთ. სალამოს ხანს ძლივას დავარდა წყალი.

გადავიწერეთ პირჯვარი და შევტოპეთ

ჩვენც. ადიდებული ნაკადული როდენი-
მე ტოტად დაყოფილიყო. ორი ტოტი
უკვე გავიარეთ. დაგვრჩა წინ უდიდესი.
მე ჩემ ძმის ვაფოხილებდი, ვახმნევებდი
და ვურჩევდი წყლის მდინარეობისათვინ
არ ეცქირნა. წინ ცხენი და უკანიღან
ჩვენ მივდევთ. წყლი წელიმდი გვწვდე-
ბოდა. რაოდენი ფეხის გადადგმაც ვერ
მოვასწარი, წყალმა დამშალა და წა-
ვიქეცი, მაგრამ საჩქაროთ წამოვდექი კი.
იმ დროს საწყალმა ჩემმა ძმამ ერთი გულ-
გამგმირავად დიოყვირა და ჩავარდა..
მე სისწრაფით ხელი წავავლე, მაგრამ
წყალმა მალე წარმიტაცა და გამაშორა
მას. მერე რა მოხდა აღარ მასსოვს.

როდესაც გონს მოვედი, ნაპირი ხალ-
ხით ავსილიყო. ჩემს ახლოს გაეწვინათ
თავ-გატეხილი და გაშეშებული ჩემი ძმა,
რომელის გაცეცხლს გვამს მისი დამბალი
ტანისამოსის კინკები ძლივას ჰფარავდენ,

ცოტა მოშორებით ჩვენ ცხენს დაელო
თავი და დალონებული იდგა, დიდხანს
გაშტერებული ვადექი და ვერ გამოვრ-
კვეულიყავი უბედურ შემთხვევის სინამ-
დვილეში.

უცხად თვალი მოვკარი, მორბის თმა
გაფაფრული და თავეპირ ჩამოსისხლული
ქალი საზარელი წიგილ-კივილითა, რო-
მელიც გაციებულს გვამს გულზე დავარ-
და. ეს ცყო დედაჩემი... აქ შესწყვიტა
ამბავი ჩემმა მეგობარია, რომელმაც საცო-
დავად დახარა ძირს თავი და ორი ნამ-
თავრი ცრემლი გადჰოაგდო. გამოთავთელებულმა ნაკალულმა მხიარუ-
ლად გაიციმციმა და თავისებურად ჩაირახ-
ჩაირაკრაკა.

მესხი პ. გვარდეშვილი

P.S. ამ თარგმანს, „პატარამდინარე-ს“ მა-
გიერ, ვუწოდეთ „ნაკადული“. დაიბეჭდა
ჯერ უ. „განათლება-ში“ 1911 წ. № ს
6 და 7, შემდეგ კი ცალკე მიარგ.

სუკიდება ყველაგან, წიგნის მაღაზიებში აესხი
კ. გვარამაძის შემდეგი ნაწერები:

- | | | |
|-----|---|-------|
| 1. | ნაკადული (თარგ) კარგს ქალალდზე | 5 კ. |
| 2. | კალანდა (გურიის ცხოვრებიდან) | 5 კ. |
| 3. | სარკე ილ. ჭავჭ.-ძის ცხოვრებისა . | 5 კ. |
| 4. | სარკე გურულთა ცხოვრებისა . . | 5 კ. |
| 5. | თამარო ჰარამ-ხანში, გურ. ცხ. . | 20 კ. |
| 6. | აბესალომ და ეფერი | 5 კ. |
| 7. | გამიჯნურებული ქალვაჟი ლექსი . | 5 კ. |
| 8. | მესხური ლექსები | 5 კ. |
| 9. | იაკ. ლაზარაშვილი დრამატ.-ის ბიოგ. | 10 კ. |
| 10. | იეპისკოპოზი როპის მგზაურობა საქ. | 30 კ. |
| 11. | მესხური ანდაზები. ნაწ. 1 . . | 10 კ. |
| 12. | 1900 წლის სახსოვარი 45 . . | 5 კ. |
| 13. | მგზავრი ამხანაგი (путеводитель) . | 10 კ. |
| 14. | რომის პაპი, პიო X, სურათი . . | 5 კ. |
| 15. | ბათომის ჭართ. კათ. ეკკლესია (ფოჩტ.
ბლანკი) | 5 კ. |
- ვინც ნლდათ იყიდის ჩამოვლილთ არა ნაკლებ
5 მან.-40% დაფთმობა.

დასაბეჭდათ დამზადებული მაქვს გურულ სიტ-
ყვათა ლექსიკონი (2000 ლექსი) და გურიაში
შეკრებილი შელოცვები აქიმობით.
უმთავრესი საწყობი ავტორთან ახალციხეში.
ფოჩტის ადრესი: ახალციხი, კონстан-
тину Ивановичу Гварамадзе.